საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო პარასკევი, 22 აგვისტო 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 187

ბრძოლა

ორგან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ფასი 1 მან

გაზეთი დირს: 1 თვით 35 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადებები: სი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეორეზე პეტიტის სტრიქონი—20 მან. განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

შვილები: გეოასიმე, მაშო, ელიჩქა და მიტო მახარაძეები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი მამის

გიორგი ნიკოლოზის ძე მახარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი პარასკევს, 22 აგვისტოს, საღ. 7 საათ. (ვეძინის ქ. № 28). გამოსვენება შაბათს, 23 აგვისტოს, დილის 10 საათ. კალოუბნის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ლაშე გაკირული ხიდის სოციალ-დემოკრატიული ერთეულის ამხანაგები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის

ესტატე გიორგის ძე ცრაპაიძის

გარდაცვალებას

ოთხშაბათს, 20 აგვისტოს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნინო ექვთიმე ჩირგაძის ასული

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავი და ნაცნობი დედა ევდოკია, დები: ანნა და ბარბალე, ძმები: ვლადიმერ და ალექსანდრე, სიძეები: შალვა შარაშიძე და კოტე ბუაჩიძე, რძალი კლარა ჩირგაძისა. მიცვალებულს გამოასვენებენ ანდრეევის ქუჩიდან № 113 და დაკრძალვა მოხდება დიდუბის სასაფლაოზე პარასკევს, 22 აგვისტოს ნაშუადღევის 5 საათზე.

მწუხარებასა შინა მყოფნი: ინჟენერი გრიგოლ გიორგის ძე გეგეჭკორი, მარიამ ივანეს ასული კაევომიაგი, დეკანოზი გიორგი გეგეჭკორი მეუღლით ეკატერინეთი და შვილები მათი ღადო მეუღლით თამარით და ექიმი ნიკოლოზ მეუღლით კატუშათი უღრმეს მადლობას მოახსენებენ: მათ უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოზს ლეონიდს პანაშვიდის გადახდისა და წესის აგებისათვის და აგრეთვე ყველა იმ პირთ, ვინც პირადის დასწრებით, თუ წერილის, ან დეპეშის გამოგზავნით გაინაწილა მწუხარება პირველის ძვირფასი მეუღლის, მეორის უსაყვარლესი ქალის და უკანასკნელთა ტკბილი რძლის **ალექსანდრა ნიკოლოზის ასულის გეგეჭკორის** უდროოდ გარდაცვალების გამო.

ხაშურის რკინის გზის მუშათა კლუბში

კვირას, 24 აგვისტოს, მუშათა უფრანალის „პროლეტარის“ სასარგებლოთ გაიმართება

პროლეტარული საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. გოცირიძე, რ. ჯიბილა, დ. თურდოსპირელი, ვ. რუხაძე, ობოლი მუშა, დ. მეჩონგურე და სხვ. (3—1)

როგორ არ უნდა ვაწარმოვოთ გრძოლა

ფრიად უნუგეშო მდგომარეობაშია დღეს მუშათა მოძრაობა ბაქოში.

ამ რამოდენიმე კვირის წინათ ბაქოელი და აქაური ბალშევიკები მედიდურათ გაიძახოდენ: ამიერ კავკასიაში მხოლოდ ბაქოს პროლეტარიატს შეუძლია აწარმოოს რევოლიუციური ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგო, ერთად-ერთი საშიში და მოსისხლე მტერი დენიკინის მხოლოდ ბაქოს პროლეტარიატია, რომელიც კომუნისტურ ხელმძღვანელებს მიჰყვება და ბალშევიკურ ტაქტიკას აწარმოებსო!

რას ვხედავთ სინამდვილეში, რა შედეგი მოიტანა კომუნისტების თარეშმა ბაქოს მუშათა შორის?

ვხედავთ, რომ მუშათა მოძრაობა სრულიად დაუძლურდა, აღტყინება, რომელსაც კომუნისტები მთელი თავისი ძალღონით აღვივებდენ, განიავდა, მასაში თვითმოქმედების უნარი მეტისმეტად შემცირდა, მისი ადგილი,—უკეთეს შემთხვევაში,—უმოქმედობამ და სრულმა აპატიამ დაიკავა და რაც განსაკუთრებით დამახასიათებელი და დამაფიქრებელია,—მუშათა მასაში გაძლიერდა სიმპატიები მოხალისეთა მიმართ.

ამიერ კავკასიის და უპირველესათ ბაქოს პროლეტარიატმა უნდა გაითვალისწინოს ბაქოს მუშათა მოძრაობის მაგალითი, შესაფერი დასკვნა გაუკეთოს მას და თავის მომავალ პრაქტიკისათვის გამოიყენოს ეს საგულისხმიერო გაკვეთილი.

როგორც რუსეთში, აგრეთვე ამიერ კავკასიაში ბალშევიკები აწარმოებდნენ მუდამ გათიშვის და განხეთქილების ტაქტიკას. კერძოთ ბაქოში მათ დააშორეს მუშათა მოძრაობა როგორც სხვა რევოლიუციურ და დემოკრატიულ ელემენტებს, აგრეთვე ყველა დანარჩენ პროლეტარულ რაზმებს. კიდევ მეტი, ისინი არ შეჩერებულან ბაქოს მუშებში ნაციონალური შუღლის თავის სასარგებლოთ გამოყენების წინაშე. ჩვენ ვიცით, რომ მარტის გამარჯვება ბაქოში ბალშევიკებმა მოიპოვეს მუსულმან მუშათა სისხლით, რომელიც დანთხეულ იქნა ხოცვა-ჟლეტის დროს.

ასეთივე გათიშვის და ნაციონალური შუღლის გაღვივების პოლიტიკას აწარმოებდნენ ბაქოს პროლეტარიატის კომუნისტი ხელმძღვანელები უკანასკნელ თვეებში. ბაქოელმა კომუნისტებმა მთელი თავისი ენერგია მოახმარეს იმას, რომ რუს მუშებში ჩაენერგათ უნდობლობა საქართველოს დემოკრატიისადმი. და მათ, სამწუხაროდ, კიდევაც შესძლეს ხელახალი გამოთიშვა ბაქოს პროლეტარიატისა ამიერ კავკასიის საერთო დემოკრატიული და პროლეტარული ფრონტიდან. ის ბრძოლა, რომელსაც ბაქოს პროლეტარიატი ამ უკანასკნელ ხანებში აწარმოებდა, მიმართული იყო ფაქტიურათ არა დენიკინის რეაქციის წინააღმდეგ, არამედ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთთან გასაერთიანებლათ. ამ ლოზუნგის გარშემო შეიძლებოდა დარაზმვა მხოლოდ რუსი მუშებისა, ვინაიდან ბაქოში საბჭოთა მთავრობის დამკვიდრება მუსულმან მუშებისათვის მოასწავებს ხოცვა-ჟლეტის და პოგრომის გამეფებას. მუსულმან მუშებს თვალწინ უდგას 1918 წლის მარტის მაგალითი. ამიტომაც კომუნისტურმა ლოზუნგებმა გათიშა ბაქოში რუსი და მუსულმანი მუშები, დაარღვია მუშათა კლასის მთლიანობა. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ლოზუნგებით გატარებულ გამოსვლებში თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ბაქოს მუშების მუსულმანურ ნაწილს. ეს იყო უმთავრესი მიზეზი ორი უკანასკნელი გაფიცვის ჩაშლის.

ამ რიგათ, ბალშევიკების ტაკტიკამ ბაქოს მუშები არა თუ გამოთიშა ყველა დანარჩენ რევოლიუციურ და დემოკრატიულ ელემენტებს, ამიერ-კავკასიისა, არამედ განხეთქილება და დეზორგანიზაცია გამოიწვია თვით ბაქოს მუშათა წრეებშიაც.

არა ნაკლები დამღუპველი იყო ბრძოლის ის მეთოდი, რომელსაც ხმარობდენ ბაქოელი ბალშევიკები. ისინი სრულიად არ უწევდენ ანგარიშს მუშათა კლასის ორგანიზაციულად დარაზმვას, კავშირს, არ აქცევდენ ყურადღებას კონკრეტიულ პირობებს და გამარჯვების შესაძლებლობას და ისე აწყობდენ გამოსვლებს, რომლის დამარცხება წინდაწინ აშკარა იყო.

ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია 14 აგვისტოს გაფიცვის დამარცხება. წინასწარ განხილვის დროს, მუშათა კონფერენციის სხდომაზე აშკარა იყო, რომ გაფიცვა დამარცხებით გათავდებოდა, რადგანაც გამოირკვა, რომ მუსულმანი მუშები მას მხარს არ უჭერდნენ. სხვადასხვა შრომის დარგების წარმომადგენელნი ამოწმებდნენ მუშათა სულიერი განწყობილების დაცემას, ლაპარაკობდნენ, რომ რუს მუშების ერთი ნაწილი დენიკინისკენ გადიხარაო და სხ. მიუხედავათ ამისა, გაფიცვა მაინც გამოაცხადეს და კიდევაც ის სრული დამარცხებით გათავდა. ერთხელ კიდევ ნათელი გახდა ის უთანხმოება და განხეთქილება, რომელიც ბაქოს მუშებში არსებობს და პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესის მოდუნება.

ასეთია შედეგი ბალშევიკების მუშაობისა ბაქოში.

გამოთიშვა ბაქოს პროლეტარიატისა საერთო დემოკრატიული და პროლეტარული ფრონტიდან, განხეთქილების და უთანხმოების შეტანა თვით ბაქოს მუშებში და სრულიად უაზრო გამოსვლებში მუშათა ძალების დაქსაქსვა და ამგვარათ დაცემა მუშათა მოძრაობისა, აი სანამდე მიიყვანა მუშათა კლასი ბაქოში ბალშევიკების ავანტიურისტულმა ტაკტიკამ.

და ბოლოს ვისთვის შეიქნა სასარგებლო ბალშევიკების მოქმედება-მუშაობა?

იმათ, ვინც ყველაზე მეტს ყვიროდენ დენიკინის საფრთხის და მასთან ბრძოლის შესახებ, საქმით დაასუსტეს და დააქუცმაცეს ის ძალები, რომელთაც დენიკინის წინააღმდეგ შეეძლოთ ბრძოლა და მით დიდი დახმარება გაუწიეს ამიერ-კავკასიის საზღვრებზე მომდგარ რეაქციას. უკანასკნელ თვეებში ბალშევიკურ მოძრაობის ისტორიამ ბაქოში ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, თუ რამდენათ დამღუპველია დემოკრატიისათვის ბალშევიკების ავანტიურისტიული ტაქტიკა.

წინად და ახლა

როცა გარეშე საფრთხის წინაშე სდგას ჩვენი ქვეყანა, ხშირად ვიგონებთ ტრაპიზონის, ბათუმის და სხვა ადგილებში გამართულ მოლაპარაკებას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით ოსმალეთთან.

ბევრის მხრით არის საყურადღებო ჩვენთვის ამ ძველი ამბების მოგონება.

ჩვენი სამხედრო ძალა იმ ხანებში იმდენათ დაშლილი იყო, რომ მის საჭიროთ აღდგენაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ამიტომ ბუნებრივი იყო ხალხის იმედი, რომ მოლაპარაკებით ცოტა რამ მაინც გაკეთდებოდა.

გვიან დარწმუნდა ხალხი, რომ საზავო მოლაპარაკება ბევრს არაფერს მოგვცემდა...

სწორედ ასეთ მომენტში დაინთო ხალხში ბრძოლის წყურვილის ცეცხლი, რაც კიდეც დამტკიცდა ჩოლოქის ნაპირად...

მაგრამ ეს გვიან მოხდა!..

მოლაპარაკების დროს კი ჩვენ ასეთი სურათების მნახველნი ვიყავით: მთელს საქართველოში მოდებულნი იყვნენ ოსმალეთის აგენტები. ერთნი ჩასჩიჩინებდნენ ხალხს ოსმალეთის ძლიერებაზე, მეორენი არწმუნებდნენ, რომ ოსმალეთს საქართველოს საწინააღმდეგო არაფერი აქვსო და სხვ.

ასეთი მუშაობით ხალხში ჰქმნიდნენ ერთის მხრით შიშს ოსმალეთის წინაშე, ხოლო მეორე მხრით უსაფუძვლო და დამღუპველ იმედებს.

ამგვარივე მოვლენის მოწამენი ვართ დღესაც. ჩვენში მრავლად მუშაობენ დენიკინელები: იგივე წესი მათი მუშაობისა, როგორც ოსმალთა აგენტებს სჩვეოდათ: ხალხის დაშინება დენიკინის ძლევა-მოსილებით და მოტყუილება, თითქოს დენიკინს საქართველოს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდეს...

წინად დენიკინელებისაგან აშკარად გაიგონებდით საქართველოს საწინააღმდეგო ლაპარაკს. დღეს ბევრი მათგანი ლაპარაკობს საქართველოს კეთილ დღეობაზე. მიზანი აშკარაა: ჩვენი მოტყუილება, ბრძოლის უნარის შესუსტება, მებრძოლთა რაზმის შემცირება.

მაგრამ ჩვენმა ხალხმა უკვე განვლო საამისო სკოლა. გამოცდაც ჩააბარა. მან იცის ბრძოლა ფრონტზე იარაღით ხელში, მას შეუძლია ბრძოლა „ზურგში“ მოკალათებული მტრების წინააღმდეგ!

რაც იყო წინად, ის არ განმეორდება ეხლა...

ისეთ ძნელ პირობებში, როგორიც წინად იყო, ჩვენ შევქმენით მუდმივი ჯარი და სახალხო გვარდია. ძნელი პირობებია ახლაც, მაგრამ არა ისეთი საძნელო, როგორც წინათ იყო—რაც გვაქვს, იმას ვერ მოშლის ვერც მტრის აგენტების მუქარა, ვერც მათი ტყუილები.

მტრის ძალას ჩვენ ძალას დავუპირდაპირებთ და უპირველეს ყოვლისა სასტიკი ბრძოლას იმ მრავალ პროვოკატორების წინააღმდეგ, რომლებიც მტერმა შემოგვისია და რომელთა მიზანია ხალხში სხვადასხვა პროვოკაციული ტყუილების გავრცელებით შექმნან ილიუზიები და შეასუსტონ ჩვენში ბრძოლის უნარი.

პრესა

ერევნის „ჰაიასტანი აშხატავორ“-ის მე-119 ნომერში შემდეგი მეთაური წერილია დაბეჭდილი:

„ჩვენ უტყუარი ცნობები გვაქვს, რომ სომეხ სოციალ-დემოკრატების ლიდერის ჰაიკ აზატიანის ქართველი ამხანაგები კავშირს ჰკრავენ ადერბეიჯანთან, ამ მინიატურულ ოსმალეთთან, მეორეს მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებენ ლენინთან და დენიკინთან, მესამეს მხრივ მონაწილეობას იღებენ არზრუმის ოსმალურ კონფერენციაში, რომელიც 400 კაცისაგან შესდგება და სადაც არიან აგრეთვე ადერბეიჯანის წარმომადგენლები. ასე იქცევა ინტერნაციონალური საქართველო: ის უზრუნველჰყოფს თავის თავს ყოველის მხრიდან და ყველას უკავშირდება. ის დენიკინის საფრთხის საბაბით შეუკავშირდა ადერბეიჯანს, რის შემდეგ ამ უკანასკნელმა ჩვენ უჩუმრად გამოგვიცხადა ომი ნახიჩევანთან და შარურთან და დღეს კი მან განაახლა თავისი კავშირი დიდ ოსმალეთთან. მაგრამ ვის თუ არა ჩვენ წინააღმდეგ? ამავე დროს ეშმაკი და შორს მჭვრეტელი საქართველო ჩვენ, ადერბეიჯანთან ერთად, საჩქაროდ გვიწვევს კონფერენციაზე. თავის „მშვიდობიანობის“ დასამტკიცებლად ის ჩვენ გვემუქრება ოსმალური საფრთხით, თითქოს ჩვენ, 10 პროცენტს, გვინდოდეს ფაქტიურად პარიებად გადავაქციოთ „80 პროცენტი მუსულმანობისა“ და ასე შევქმნათ „დიდი სომხეთი“.

„ამ პოლიტიკური ფოკუსობის და შარლატანობის დასამატებლად ისინი ერთ ხელს ოსმალებს აძლევენ და მეორეთი კი ხელს უკოცნიან ინგლისელებს.

„აი „მეგობრები“ ალყაშემორტყმულ სომხეთისა. ესენი არიან, რომლებმაც ალყა შემოგვარტყეს და თავისი აგენტების სომეხი სოციალ-დემოკრატების საშუალებით ჩვენ გვახვევენ თავს, თითქოს დაშნაკცუტიუნს იზოლიაციისაკენ მიყავდეს სომხეთი. როდის დაინახავენ ბრმები, თუ ვინ ანცალკევებს სომეხ ხალხს ეკონომიურის და სტრატეგიულის მხრივ? როდის გათავდება მოღალატეობა ქართველების აგენტებისა და სხვ.“.

ამას წინად ერთ იუმორისტულ ჟურნალში ასეთი სურათი იყო მოთავსებული: ევგენი გეგეჭკორი რამდენიმე დაშნაკელს უქადაგებს

დღეს

უმაღლესი საბჭოს აზრით რუმინიის ჯარს და მთავრობას არავითარი უფლება არ აქვთ თვიური წესით გადაახდევინონ უნგრეთს კონტრიბუცია.

რუმინიის ხალკუპაციო ჯარი აპირებს მთელი დასავლეთი უნგრეთის დაპყრობას.

უნგრეთში ჩეხო-სლოვაკების შეტევამ შიში გამოიწვია, რომ სხვა პატარა ერებიც წაბაძავენ ამ მაგალითს.

სილეზიაში და დასავლეთ პოზნანში სასალყო წესებია შემოღებული. საქსონიაში დაიწყო სოფლის მუშათა გაფიცვა.

სამხრეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარმა კაზატინი დასტოვა. მირგოროდის მიმართულებით საბჭოთა ჯარმა ახალ პოზიციებისკენ დაიხია.

„ძმობა ერთობა - სოლიდარობას“, — დაშინაკელებს კი ამ დროს ხელში უჭირავთ მაუზერები, ზურგს უკან ხანჯლები ამოუფარებიათ და უპასუხებენ: „და სულსაცა შენისათანა“-ო.

განა ამ გვაროვნე სურათის არ მეორდება ეხლაც? ჩვენი მთავრობის წინადადება სადავო საკითხების შეთანხმებით მოსაგვარებლათ თითქოს მიიღო დაშაკელებმა, დელეგატებიც კი გაამგზავნეს ამიერ-კავკასიის ოესპუბლიკის კონფერენციაზე, დელეგატები თფილისში იმყოფებიან, მაგრამ ყველა პარტია—და მაკაცუტიუნი ამ დროს „სულთათაყას“ უგალობს შეთანხმებას...

დაშაკცუტიუნის ჩვეულებრივი თვალთმაქცობაა!..

ქვარიდ გაზეთებიდან

ეგოვერ ბეგ ათაბეგოვი

გაზ. „სამუსლიმაო საქართველოში“ (13 აგვისტოს ნომერში) შემდეგი განცხადება:

„დაბალოვებით ამ ათი დღის წინათ ეგოვერ ბეგ ათაბეგოვი სამოცამდე შეიარაღებულ მხლებლებით მაკმეთში გადმოსულა, სოფლებში გაუთარეშებია და შემდეგ ოლთისისაკენ წასულა. მაკმეთში გადმოსვლით მას უნდოდა, ალბათ, თავისი „ბანდით“ მცხოვრებლებზე ერთგვარი შთაბეჭდილების მოხდენა.

„ეს ის ეგოვერ-ბეგია, რომელმაც თავისი ავანტიურისტული მოქმედებით ახალციხე არდაგანის მცხოვრებლები განადგურებამდე მიიყვანა.

„ჩვენი სოფლები ჯერ კიდევ მიბგრეულ-მონგრეულია. დიდი შრომა და ფულია საჭირო, რომ ეს სოფლები აღვადგინოთ, დანგრეული ხახლ-კარი ავაგოთ. თუ სერვერ-ბეგებს ავყევით, ეს სავსებით გაგვაბადგუნებს და სიღატაკის ძირეულში გადაგვასკის.

„ამასთან ერთად, სერვერ-ბეგების აყოლა დაგვაშორებს ჩვენ ძმებს ქართველ ქრისტიანებს და ეს ყველა უბედურებაზე უძლიერესი უბედურება იქნება ჩვენთვის, რადგან ჩვენი ბედი მჭიდროდაა შეკავშირებული ჩვენ დედა-საქართველოს ბედთან. თუ ჩვენ ფარდით ავტონომიით საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში არ შევედით, მაშინ დაგვეპატრონება დენიკინის ლაშქარი და პირდაპირ დავიღუპებით; მაშინ ჩვენ თავისუფლების საქმე თითქმის სამუდამოდ დაიმარხება და ამას არ გვაპატიებს ჩვენი მთამომავლობა.

„სერვერ-ბეგები კი სწორედ ამ დაღუპვის გზისკენ გვეპატიჟებიან. ისინი ჩაგვჩიჩინებენ უარვყოთ ჩვენი საქართველო და ავანტიურისტის გზას დავადგეთ, უარვყოთ ჩვენი ძმები და ვიწყებოდეთ უცხოელები, ვუღალატოთ სამშობლოს და შინ ჩვენვე გავლეწოთ ჩვენი დასაკლავი დანა.

„კარგად ჩავუკვირდეთ მდგომარეობას. ჩვენ უკვე გამოვცადეთ, თუ რას ნიშნავს სერვერ-ბეგების რჩევა-დარიგება. უკვე გამოვცადეთ მათი წყალობით ტანჯვა ვაება. და ახლა მაინც ვერ უნდა მოგვატყუებინონ“.

უკანასკნელი ცნობები

ბაქო

„გუმეტის“ პარტიაში.

გავეთ „ბაქოს“ გადმოცემით „გუმეტის“ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ზოგიერთ წევრებს ამ უკანასკნელ ხანებში ემჩნევა თანდათან ჯამბაზობა და საბჭოთა პლატფორმისაკენ გადახრა. პრინციპიალურმა უთანხმოებებმა ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ „რასკოლი“ უკვე მომხდარ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს. მთავარი ძალა პარტიაში წინანდელი სოციალდემოკრატიული (მენშევიკური) ფრთაა.

მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

18 აგვისტოს სხდომაზე პარლამენტმა მოისმინა სოციალისტების მიერ დასმული კითხვის გამო საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტება საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელიც შეეხებოდა დენიკინის საფრთხეს, ინგლისელების წასვლას, ფლოტის მოხალისეთათვის გადაცემას და სხ. სოციალისტური ფრაქცია არ დაკმაყოფილდა მთავრობის განმარტებით და ამიტომ „ნაკაზის“ თანახმად კითხვა შეკითხვად გადაიქცა, რომელიც უნდა განხილულ იქნას პარლამენტის შემდეგ სხდომაზე.

კასპიის იქითა მხარეში.

კრასნოვოდსკში, მიღებული ოფიციალური ცნობებით, ბალშევიკებმა, რომელთაც უკანასკნელ ხანებში ეჭირათ პოზიცია სადგურ გეოკ-ტეპეზე, ამ ჟამად ასხაბადისაკენ დაიხიეს. და რადგანაც ბალშევიკების ზურგში აჯანყებები ხდება, ბევრი უკან დახევის შემდეგ ტაშკენტისკენ გაემართენ.

მოხალისეთა ჯარების გადაჯგუფება.

მიღებული ცნობებით პეტროვსკიდან და დერბენტიდან მოხალისეთა რაზმები გაუწვევიათ ამ პუნკტებში დატოვებულია მხოლოდ მცირე რიცხოვანი საგარნიზონო ნაწილები.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს)

21 აგვისტო

ბალშევიკების ცნობები.

ბოსკოვი აგვისტოს 20. **ბერლინი,** აგვ. 17. ბუდაპეშტის პრეს-ბიუროს ცნობით, რუმინიის საოკუპაციო ჯარი აპირებს მთელი დასავლეთი უნგრეთი დაიპყროს. **პეტროგრადი,** აგვ. 19. ლატვიაში მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისთვის დახურეს 3 გერმანული, 1 რუსული გაზეთი და 1 ლატიშური ერთი. რიგის მენშევიკებმა გაფიცვაში მონაწილეობა არ მიიღეს და განაცხადეს, რომ რეკოლიუციონერი მუშები მას მაარს არ უჭერენ. **მოსკოვი,** აგვ. 20. ყოფილი სამეფო დიპლომატები, რომლებიც პარიზში სხედან, აცხადებენ, რომ რუსეთი, რომელიც ვერსალის საზავო კონფერენციას არ დაესწრო, უნდა ჩაითვალოს გერმანიასთან ომის გამგრძელებლად. პოლონეთის ლეგიონერებმა ხელში ჩაიგდეს ვილნო და კომუნისტების ძმათა სასაფლაო დაანგრიეს. **ნაუენი,** აგვ. 20. ზემო სილეზიაში მოძხდარ ამბების გამო ბერლინის სურსათით უზრუნველყოფა საეჭვოა. ამას გარდა პირველ ენკენისთვიდან მოელიან რკინის გზის მიმოსვლის შემცირებას. **ლიონი,** აგვისტოს 19. რუმინიის საპასუხო ნოტა შედგენილია უფრო გადაწყვეტილ გამოთქმებით, ვიდრე ამას მოელოდენ. უმაღლესი საბჭო აცხადებს, რომ სამხედრო მასალის, რკინის გზის შემადგენლობის, სასოფლო სამეურნეო ნივთების და სხვა ქონების წართმევა, სამხედრო ზარალის ანაზღაურების სახით, დაუშვებელია. რუმინიის ჯარს და მთავრობას არ აქვთ არავითარი უფლება თავის ნებით გადაახდევინოს უნგრეთს კონტრიბუცია. **კამიშლოვი,** აგვ. 14. ტიუმენის ტრაქტი სავსეა თათრებისაგან გამოქცეული ლტოლვილებით. სამარგო ურემი საქ რიგათ მიჰყავთ. იმდენათ დაბნეული არიან ლტოლვილები, რომ ქუჩაში სტოვებენ ქონებას. № ის დივიზიის წითელმა ჯარმა მოირტყა ლტოლვილების მიერ მიტოვებული ერთი ყუთი ოქროს და ვერცხლის ნივთები. **ლიონი,** აგვ. 19. ვარშავიდან იუწყებიან, რომ რუსეთში იგზავნება პოლონეთის დელეგაცია—დენიკინის მთავრობასთან სავაჭრო და ფინანსიურ დამოკიდებულების გამოსარკვევად. **მოსკოვი,** აგვ. 20. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. მეჟოზერის რაიონში მურმანის მიმართ. ბრძოლაა. დასავლეთით მდ. სუნჟაზე ჩვენი შეტევა გრძელდება. დასავლეთის ფრონტი. პსკოვის რაიონში პორხოვის მიმართ ჩვენ 25 ვერსზე სოფელი დავიჭირეთ. ოსტროვსკის მიმართ. იზბორსკ-პსკოვის გზატკეცილის სამხრეთით ბრძოლაა. ბორისოგლების და ბობრუისკის მიმართ მტერი შეეცადა მდ. ბერეზინაზე გადმოსვლას, მაგრამ კონტრ-შეტევით უკუ ვაგდეთ. სამხრეთ დასავლეთის ფრონტი. ჩვენ კაზატინი დავსტოვეთ. შავი ზღვის ნაპირზე მდ. ბუგზე და ბობრინის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. სამხრეთის ფრონტი. მირგოროდის მიმართ. ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარი ახალ პოზიციებისკენ იხევს. გადიაჩის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. პსიოლზე იბრძვის. სუჯენის მიმართ. ჩვენ კორენევო დავსტოვეთ. კურსკ-ბელგოროდის მიმართ. ობოიანთან ბრძოლა გრძელდება. ვალუის მიმართ. ჩვენი შეტევა გრძელდება. კამიშინის მიმართ. ჩვენი ჯარი უტევს ენერგიულად და ჩრდილოეთით სოფლის ხაზზე გამოვიდა. **ნაუენი.** 19 აგვ. საქართველოში დაწყო სოფლის მუშების გაფიცვა, რომელიც სიძვირის გამო ხელფასის მომატებას მოითხოვენ. როგორც კატოვიციდან იუწყებიან, პოლონელებმა ამბოხების მოწყობა სცადეს ბობრიკენსა, ჰოჰენლონდენსა, ლიპინსა, დომბროვოსა და სხვა ადგილებში, განსაკუთრებით კი ტიხაუს მიმართულებით. **ლიონი,** აგვ. 19. უნგრეთში მყოფ ამერიკელთა წარმომადგენლებისაგან საზავო კონფერენციის წრეებში მიღებული ცნობების მიხედვით, მოკლე ხანში შესაძლებელი იქნება უნგრეთთან ზავის შეკვრის შესახებ მოლაპარაკების გამართვა, ბულგარეთის საქმეები ჯერაც გამოურკვეველია. შესაძლებელია ფრაკიის საკითხი რუმინეთის საკითხს დაუკავშირონ. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიციას დაიჭერს ამერიკის დელეგაცია რუმინეთის მანდატის საკითხში. ამერიკელები ფიქრობენ, რომ ინგლისი, საფრანგეთი და იტალია მოქმედებას არ დაიწუებენ, ვიდრე შეერთებული შტატები გარკვევით არ გამოსთქვამს თავის აზრს. ამავე დროს კი ინგლისს ძალას ატანენ, რომ მცირე აზიიდან თავისი ჯარი გაიყვანოს. **ლიონი.** აგვ. 18. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ამერიკის რამდენიმე ქალაქში ზანგებსა და თეთრკანიანებს შორის მომხდარ შეტაკებებში ბალშევიკებიც იღებდნენ მონაწილეობას. გამოირკვა, რომ ზანგებს ბალშევიკების აგიტატორები ხელმძღვანელობდნენ. **პეტროგრადი,** აგვ. 19. კოვნოს გაზეთი „ლეიტჯვა“ იუწყება, რომ პოლონელ მუშათა შორის ბალშევიკების რიცხვი 7 პროცენტიდან 27 პროცენტამდე გაიზარდა. **პარიზი,** აგვ. 13. უმეღლესმა საბჭომ ვენის მთავრობას წინადადება მისცა „გერმანულ-ავსტრიის რესპუბლიკა“-ს მაგიერ მხარეს დაარქვან „ავსტრიის რესპუბლიკა“. **ლიონი,** აგვ. 19. უნგრეთში ჩეხო-სლოვაკების შეტევამ შიში გამოიწვია, რომ სხვა პატარა ერებიც წაბაძავენ რუმინიის მაგალითს. კონფერენცია მიზეზს ეძებს, რომ გადასდოს რუმინიის მოქმედების საკითხზე თათბარი. შიშობენ, რომ ერც-ჰერცოგ იოსების აღიარებას ყველა ტახტიდან გადმოგდებულ მეფეების რესტავრაცია არ მოყვეს. **მოსკოვი.** საბერძნეთის ყოფილი მეფე კონსტანტინე აცხადებს, რომ მას ინგლისში ყავს მეგობრები და საბერძნეთი ინგლისთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული უნდა წავიდეს წინ. თუ უნგრეთში ერცჰერცოგს იოსებს აღიარებენ, მაშინ, გაუგებარია რატომ არ აღსდგება მონარქია ავსტრიაში? პარიზში ბევრს ლაპარაკობენ, რომ კოლჩაკის გამარჯვებამ რომანოვების რესტავრაციას ნიშნავს. **ლონდონი.** აგვ. 13. ქვემო პალატაში ჩერჩილმა ბრიტანიის სამხედრო ძალების შემცირების შესახებ განაცხადა, რომ ბრიტანიის რეინის ჯარის რაცხვი ერთ ბრიგადამდე შემცირდება. იმედი აქვთ, მესოპოტამიაში, ეგვიპტეში და პალესტინაში საჭირო ჯარის რიცხვი შემცირონ. და სამეგიეროთ ჯავშნიან ავტომობილებს ჰაეროპლანებს და ტანკებს გაგზავნიან. **პეტროგრადი.** აგვ. 19. რიგის გაზეთების ცნობით, შვეიცის ზემო პალატის არჩევნებში გავიდა 20 მეუმრავლესე სოც.-დემ. წინათ იყო 19. შემდეგ, 41 ლიბერალი, იყო 43. მემარცხენე სოციალისტი 4, წინათ იყო 2. კონსერვატორებს 36 ადგილი ჰქონდათ, გაიყვანეს 39. **პეტროგრადი.** აგვ. 10. გერმანელებს ჯურლიანდიის დაცლის ვადა გაუგრძელეს 28 აგვისტომდე. **ნაუენი.** აგვ. 19. ეროვნულ ყრილობაზე საზავო პირობების განხორციელების კანონი წაიკითხეს. გარეშე საქმეთა მინისტრმა მიულერმა განაცხადა, რომ ეს კანონი მოასწავებს გერმანიის მისწრაფებას, კეთილსინდისიერად ასრულოს საზავო ხელშეკრულება. **პეტერბურგი.** აგვ. 19. ნაუენის რადიოს სურს სპარტაკელები გამოიყვანოს სილეზიაში მომხდარ უთანხმოების დამნაშავეთ. მათი სიტყვით მთავრობის ჯარს ზოგიერთ ადგილას საფრთხე მოელის. სილეზიაში და დასავლეთ პოზნანში სასალყო წესებია შემოღებული. **მოსკოვი,** აგვ. 21. ჩრდილოეთის ფრონტი, მურმანის რკ. გზ. გასწვრივ ბრძოლაა. მდ. სუნჟაზე ჩვენი შეტევა გრძელდება. დასავლეთის ფრონტი. პსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. ბორისოვის და ბობრუისკის მიმართ. მტერი შეეცადა ბერეზინაზე გადასვლას, მაგრამ ჩვენ უკუ ვაგდეთ. სამხრეთ დასავლეთის ფრონტი. ჩვენ კაზატინი დავსტოვეთ. დენიკინის ფრონტზე. ლუბნის დასავლეთით ჩვენი ჯარი ახალი პოზიციებისკენ იხევს. ორენბურგის მიმართ. ჩვენი შეტევა გრძელდება. ორენბურგის რაიონში ჩვენი ჯარი ბუგულჩინის სამხრეთ აღმოსავლეთით უტევს.

ინგლისური ჯარების ევრუაცია.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ უნგრეთის სოციალისტები დიდ მნიშვნელობას აძლევენ მომავალ ეროვნულ ყრილობის პოლიტიკას.

ფიქრობენ, რომ უნგრეთის ჯარი შესძლებს წესიერების დაცვას, თუ ბოლშევიკები წავლენ. უნგრეთის საგარეო პოლიტიკა მოკავშირეთა ორიენტაციაზე ეყრდნობა და მოითხოვს მოკავშირეთა ყველა მოთხოვნილებათა შესრულებას.

ლიონის რადიო-სადგურის ცნობები.

პოლკში (?) უკვე დაათვალიერა ბრძოლის ველები და ჯკან დაბრუნდა. მასზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ნაბიჭვრობამ, რომლითაც ბოლშევიკებმა ტყვედ ჩავარდნილ ქალებს მსხვრევრებნი თავის დანგრეულ სახლებში ბრუნდებიან. ესენი დამლამობით სიჩქარით აგებულ ქოხებს აფარებენ თავს, დღისით კი თავის სახლების აღსადგენად მუშაობენ. პოლკში მოიარა სუასონი, არარსი და სხვა ქალაქები.

სლოვაკთა არმიის უნგრეთისაკენ წინსვლა ამარიღებს იმის შიშს, რომ შესაძლებელია პატარა ერებმა უნგრეთის მაგალითს მიმართონ და მოქნდომონ ზარალის პირდაპირ ანაზღაურება. აღნიშნავენ, რომ ერცჰერცოგის რეგენტად აღიარებას, შესაძლებელია, მოჰყვეს მონარქიულ წესწყობილების აღდგენა სხვა ქვეყნებშიაც. თუ იოსები აღიარეს, რატომ არ უნდა აღიაროონ ავსტრიის მეფე კარლოსი?

ახალი ამბები

შრომის სამინისტრომ ცირკულარი დაუგზავნა ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომ უკანასკნელ დღეთა რიცხვიდან გამოირიცხულია შემდეგი უქმეები: 1) მირქმა უფლება; 2) ვნების კვირის პარასკევი; 3) აღდგომის მესამე დღე (სამშაბათი); 4) სულის წმინდის მოფენის მეორე დღე; 5) ფერისცვალება; 6) მიძინება ღვთის მშობლისა; 7) ჯვართ-ამაღლება და 8) ტაძართ მიყვანება.

◆ **ქალაქის შრომის ბირჟასთან არსებობს** საკინძავი სახელოსნო, რომლის მიზანიც არის სამუშაოს მიწოდება უმუშევარ მკინძავებისათვის. კერძო საკინძავ სახელოსნოების გაუქმება, მასალის გაძვირების და მის უქონლობის გამო ყოველ დღე ათეულობით ოსტატი რებს მკინძავებს სახელოსნოდან და ამიტომ მკინძავ უმუშევართა რიცხვი დიდია. ამ საზოგადო საკინძავ სახელოსნოს მიზნათ აქვს აგრეთვე შეასწავლოს ეს ხელობა უმუშევარ ინტელიგენტებს, რისთვისაც მან უკვე მოიწვია სპეციალისტები. შრომის ბირჟამ შეძლო საკინძავათ წაჰკრო მასალის შეძენა და ახლა მას სამუალება აქვს დაამზადოს ყოველივე ამ დარგის სამუშაო სხვა კერძო სახელოსნოზე გაცილებით დაჯლებულ ფასებში. შრომის ბირჟა სთხოვს ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებს აგრეთვე კერძო პირებს, რათა მათ ათასგვარი საკინძავი სამუშაო გადასცენ მათ. სახელოსნოში მზადდება აგრეთვე კოლოფებიც, სახელოსნო მოთავსებულია შრომის ბირჟასთან (მაჯდათოვის ქუჩა ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) და დიაა 8 ს.—2 საათამდე.

◆ **ფოთის ნავთსადგურის ყოფილი ბუსგალტერი ი. გაბესკირიას და სანგურის** უფროს გ. დვალიშვილს ქუთაისის საოლქო სასამართლომ მიუსაჯა ციხე: დვალიშვილს ექვსი თვით, ხოლო გაბესკირიას სამი თვით.

◆ **ქალაქის გამგეობამ იჯარით გიორგი** მიწათმოქმედო სამინისტროდან 11 გოგერდის აბანო. გამგეობამ დაადგინა 5 აბანო გასცეს საჯარო ვაჭრობით, დანარჩენი კი თვით აწარმოოს სამეურნეო წესით. საჭიროა სპეციალისტი აბანოების გამგის ადგილზე, სათანადო ცოდნით აღჭურვილი.

◆ **სამხედრო სამინისტროს კანცელარია,** თფილისში მყოფ ინგლისის ჯარის სარდლის გენერალ მონტენორიცის დავალებით, მადლობას უცხადებს სისხლის სამართლის მოლიციის უფროსს ფაჩულიას იმ ენერგიული ხელმძღვანელობისთვის, რომელიც მან გამოიჩინა ინგლისელ ჯარისკაც ედუარდ მარტინის მკვლელების აღმოჩენაში. ამასთანავე თვით სამხედრო მინისტრის ამხანაგი თავის მხრივ მადლობას უცხადებს ფაჩულიას თავისი მოვალეობის სამაგალითოდ ასრულებისათვის.

◆ **ვოლგა-კამის ბანკის რწმუნებულმა** ტიროვმა განაცხადა მილიციაში, რომ ბანკის მოლარემ ალექსანდრე ოტიასძე ტუპპოს გაფლანგა 679,500 მ., რომლიდანაც 250 ათასი მ. ეკუთვნის ამერიკის ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტს, ხოლო დანარჩენი ბანკ სო. მილიციამ ტუპპო შეიპყრო, რომელიც გამოტყდა დანაშაულში. ის გადაეცა სასამართლოს.

◆ **ლექცია.** პარასკევს, 22 აგვისტოს საღამოს 6 ს. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტში შესდგება უფასო ლექცია, ქართველობაზე. ექ. ნ. ტურიაშვილი,—„სახალხო ჯანმრთელობა“. ინჟ.-ტექ. ალშიბაია—„ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე“.

◆ **სომხური სექცია.** დღეს, 22 აგვისტოს საღამოს 5 ს. სომხური სექციის ბიუროს ბინაზე (რუსთაველის პრ. № 24), შედგება საერთო კრება საქართველოს სოც.-ლემ. მუშა პარტ. სომეხთა სექციისა. სთხოვენ ყველა ამხანაგებს დაესწრონ კრებას. დღის წესრიგზე მოხსენებები პროვინციიდან ჩამოსულ ამხანაგების, გაზეთის გამოცემის საკითხი და მიმდინარე საქმეები.

პასპორტებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ 22 აგვისტოდან რესპუბლიკის საზღვრებიდან გასასვლელი მოწმობების გაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაეცა თფილისის ქალაქის მილიციის უფროსს, სადაც უნდა მიმართონ მთხოვნელებმა.

მეურნეობათა კონგრესი. რადგან საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ბევრი განცხადებები მიიღეთ, რათა კონგრესის მოწვევა გადადებულ იქმნას ივლისის გამო შემდეგ დროისთვის, მოწვევი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ კონგრესის მოწვევა გადადებულია. როდის და რომელ რიცხვში შესდგება კონგრესი, ამის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

გაზეთების შეწყვეტა. ფულის გამოგზავნულობის გამო დღეს გაზეთები უკანასკნელად ეგზავნება საჭიმაისერში—რამიშვილს.

ქ ა ნ ც ე ლ ა რ ი.

საქ. ექიმთა პროფ. კავშირის თფილისის განყოფილების და სხვა ექიმთა ორგანიზაციების თაოსნობით პარასკევს, 22 აგვისტოს, საღ. 7 ნახ. ს. სამაზრო ერობის შენობაში (რუსთველის პროსპ. № 6) დანიშნულია საზოგადო კრება თფილისში მცხოვრებ ყველა ექიმთა, სასანიტარო გადასახადის საკითხის გასარჩევათ.

— მეომართა დამხმარე ქალთა კომიტეტმა მიიღო 513 მ. სიფ, სადღეღინოში (სენაკის მაზრა) გამართულ საღამოს შემოსავალი.

— შაბათს, 23 აგვისტოს, საღამოს 5 ს. დანიშნულია თფილისის თვითმმართველობის მუშა მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტის არა ჩვეულებრივი კრება.

კოლია მგალობლის ძე ბესელია

20 ივლისს, სოფ. ნოსირში, დიდძალი ხალხის თანადასწრებით, პირველ მივაბარეთ 23 წლის ახალგაზრდა პოეტურად კოლია ბესელია. განსვენებული თფილისის ხამხედრო გოსპიტალში გარდაიცვალა ტიფით. ის ფოთის სამოქალაქო სამწყალობლის დამთავრების შემდეგ სწავლის განსაგრძობათ ემზადებოდა, მაგრამ 1914 წ. ომის გამოცხადებამ ხელი შეუშალა. ის ჯარში გაიწვიეს ავსტრია-გერმანიის ფრონტზე, სადაც ბოძოლაში დაიჭრა. რევოლიუციის პირველ წელში, ზაფხულში, ექიმების რჩევით პიატიგორსკში დაეო, იმავე წელს ზამთარში დაბრუნდა სამშობლოში. 1918 წ. გაზაფხულზე მას ემჩნევა გამოკვეთება ფიზიკურათ და ეწერება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყებაში, მონაწილეობას ღებულობს ახალციხის და სომხეთის ფრონტზე. უკანასკნელათ მსახუროდა თფილისში მეხუთე პოლკში. მის ფიზიკურ სხეულტეს ზედ დაერთო სახადი. საკმაოდ დარჩა ხანმოკლე ავათმყოფობა, რომ შეწყვეტილიყო მაჯის ცემა. მისი დაკარგვა დიდი დანაკლისია მუშათა კლასისთვის, მაგრამ კიდევ მეტად სამწუხარო ახალი ნაცნობთათვის.

ბარნაბა ძველაია.

ლეჩხუმის გვარდია

ლეჩხუმის მაზრაში სახალხო გვარდია დაარსდა და მუშაობა დაიწყო გვარდიის შტაბმა ამა წლის მარტის შუა რიცხვებში. ამ ხნის ე. ი. ექვსი თვის განმავლობაში შტაბის წევრების მხნე მუშაობის წყალობით ლეჩხუმის გლეხობამ იგრძნო გვარდიის მნიშვნელობა და ყველა ისინი ვინც შარშან მთავრობისა და გვარდიის წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდენ, დღეს ისინი აშკარათ ამბობენ: ეი, ეხლა რომ გვარდია არის, სწორეთ ჩვენც ეს გვირჩიაო, მაგრამ ხულიგანობამ გადაგვაძლევს და ფიქრით ხასარგებლოთ გვაბრძოლესო.

დღეს ლეჩხუმის მაზრის მშრომელი ხალხი ერთიანათ შემოერთებულია გვარდიის ირგვლივ და ერთათ-ერთ თავის მხსნელათ მას გვარდია მიაჩნია, ყოველივე ეს რომ აშკარა და ნათელია, სჩანს შემდეგი გარემოებათ: როგორც კი გაივო ლეჩხუმის გლეხობამ შტაბის მოწოდება მშვიდობის უცილებლათ დენიკინის შემოსევის გამო, მიუხედავათ იმისა, რომ სწორეთ იმ დროს ლეჩხუმში ყველგან მკა იყო პუროში, ყველა გვარდიელებმა ნამგლები ყანებში მიატოვეს და ისე მიაშურეს ცაგერში გვარდიის შტაბისკენ, სადაც თავიანთ ზეყარათ გვარდიის შტაბისკენ, სადაც თავიანთ ზეყარათ ბევრ არა გვარდიელებსაც და თბილისში გვარდიაში ჩაწერას; გვარდიის შტაბმა მოახდინა განკარგულება, სოფლის გვარდიელები შეგეერთა მუდმივ გვარდიელებს, დაგვირგვინა ვისაც არ გვქონდა თოფები, ერთი პულემიოტი, გაგვიგზავნა გვარდიის დროშა და კაპიტან გურულის ხელმძღვანელობით გავსწიეთ ონისაკენ. ჭრებალოში მისვლისას იქ დაგვხვდენ მყვიშის საზოგადოების გვარდიელები, ჩვიდმეტი 25 კაცი, სწორეთ ამავე დროს მოგვივიდა ქუთაისის შტაბიდან გამოგზავნილი ტელეგრამისაშვისი, ამ ტელეგრამის მიღების და ჩვენ მის შემდეგ 28 ივლისს საღამოს უკვე ორასი სიმღერით გადავედით რაჭის საზღვრებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რაჭის ხალხი განსაკუთრებულ ყურადღებით უყურებდენ ლეჩხუმელ გვარდიელებს, გზა და გზა ყველანი აღფრთოვანებით გვიყურებდენ, გვლოცავდენ და გვისურვებდენ გამარჯვებით დაბრუნებას, ამავე დროს ხშირათ გაიგონებდით ლეჩხუმის გვარდიელები რა „ზდაროვი“ ბიჭები ყოფილანო. ასე ამ რიგათ 30 ივლისს მივედით ონში, იქ აღტაცებით მიგვიღო რაჭის გვარდიის შტაბმა, რომელმაც დიდი მადლობა გამოგვიცხადა ასე ჩქარი დახმარებისათვის, მეორე დღეს დილით ადრიან გავგაგზავრეს სოფ. კვაისაკენ, იქ მივედით საღამოს, სწორეთ ვახშმის ჭამას ვაპირებდით, რომ შემოგვესმა ყვარილი: არიქა, გვიშველეთ კაჯიხოხის მაღლობიდან მტერი შემოგვესია, ჩვენები ყველანი ამოხოცესო, ჩვენ მაშინვე მივატოვეთ ვახშამი, საჩქაროთ გავსწიეთ წინ, იქ მისვლისას კი გამოირკვა, რომ მტერს ძალები შემატებია და რაჭველ გვარდიელებს სტრატეგიული მოსაზრებით უკან დაუხევიათ, რომის გვარდიელებიდან არც ერთი მკვდარი არ აღმოჩენილა, ხოლო ის მატყუარა კაცი კი აღმოჩნდა ონელი ჯანუაშვილი. ჩვენმა მისვლამ რაჭველ გვარდიელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და შეერთებული ძალით გადაწყდა იერიშით სიმაღლე კაჯიხოხის უკან დაბრუნება. ამ დროს ძიებით ცნობა ონის შტაბიდან, რომ ლეჩხუმიდან გამოვიდა გუშინ ახამდე გვარდიელი, რომელსაც მოჰყვება თვით გვარდიის თავმჯდომარეცო, ამ გარემოებამ დიდი სიხარული გამოიწვია გვარდიელებში და ამბობდენ, რომ იმათ მოსვლამდე უნდა ავიღოთ კაჯიხოხიო, მართლაც მიუხედავათ სასტიკი წინააღმდეგობისა რაჭისა და ლეჩხუმის გვარდიელებმა კაჯიხოხიდან გავრეკეთ დენიკინელები და დავიკავეთ ეს მაღლობი ჩვენ, ამის შემდეგ რაჭის შტაბიდან მივიღეთ განკარგულება, რომ ლეჩხუმის გვარდიელები უკან დავბრუნებულიყავით. ამ განკარგულებამ ცოტა უკმაყოფილება გამოიწვია, ოადგან ყველას სურდა წინ ოსეთისკენ წასვლა, მაგრამ თანახმად შტაბის განკარგულებისა ჩვენ დავბრუნდით ონისკენ, იქ შტაბში გავიგეთ, რომ ლეჩხუმის გვარდიელების მეორე ნაწილი რაჭის შტაბს დაებრუნებია წესის საზოგადოებიდან, ცაგერიდან 53 ვერსზე.

ონში ლეჩხუმის გვარდიას სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა როგორც რაჭის შტაბმა, აგრეთვე პოლკოვნიკ ინწკირველმა დიდით კი ჩვენი დროშით და სიმღერით გამარჯვებულები წამოვედით ლეჩხუმისაკენ.

დასასრულ მინდა დაუმატო, რომ არას დროს ლეჩხუმის მაზრაში ისეთი სიმშვიდე და მშვიდობიანი ცხოვრება მუშა ხალხისთვის არ ყოფილა, როგორც წელს; ლეჩხუმში წელს უჩაღობას და ცარცვა-გლეჯას არავითარი ადგილი არა აქვს.

ლეჩხუმელი გვარდიელი.

სახალხო გვარდიელთა შრომის

13 აგვისტოს შესდგა შეერთებული კრება ჯავშნიან მატარებლების რაზმისა. დღევანდელ მომენტზე მოხსენება გააკეთა ჯავშნიან მატარებლების ხელმძღვანელმა ვ. გოგუაძემ. რაზმის კრებამ, მოისმინა რა მოხსენება, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ვღებულობთ რა მხედველობაში ახეთ მოღალატეობრივ გამოსვლებს ბალშევიკებისას თუ დენიკინელების აგენტებისას, რომლებიც საფრთხეს უმზადებენ რევოლიუციას და სამშობლოს და მით ხელს უშლიან სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, მხარს ვუჭერთ ხალხის მიერ არჩეულ დამფუძნებელ კრებას რევოლიუციის და სამშობლოს დამცველ მთავრობას და სასტიკათ შევებრძოლებით მათ, ვინც ასეთი გამოსვლებით დაღუპვას უქადის ჩვენს სამშობლოს, არამც და არამც არ დაუშვებთ ანარქიას ჩვენს რესპუბლიკაში, დენიკინელების სახით იქნება ეს თუ ბალშევიზმისა“.

კრების მონდობილობით: გ. დოლიძე.

— —

15 აგვისტოს ნავთლუღის სახალხო გვარდიის შტაბმა მოიწვია ამ რაიონის გვარდიელთა კრება. კრებას დაესწრენ ვ. ჯუღელი და შთავარი შტაბის სხვა წევრებიც. თავმჯდომარეობს გ. კვერნაძე. ვინაიდან კრებას ესწრება უმცირესობა, კრება ცხადდება არა კანონიერათ. მოხსენება და დამტკიცება სარევიზიო კომისიის ნამუშევრისა გადაიდო შემდეგისათვის. თანამედროვე მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ჯუღელი. კრებამ აღუთქვა ამხ. ვ. ჯუღელს, რომ იმ მიზნის მიღწევაში, რომელიც აქვს დასახული პროლეტარიატს, ნავთლუღის გვარდია ივიწყებს კერძო ინტერესებს, და იბრძოლებს რევოლიუციის და ჩვენ დამოუკიდებლობის დასაცავათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

გ. ხონელი.

ეუშათა შრომის

თფილისი. 13 აგვისტოს შესდგა მეექვსე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბთან არსებულ მკერავთა სახელოსნოს მუშების საზოგადო კრება ამხ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო შემდეგი: 1) 17 აგვისტოს „პროლეტარულ დღის“ წინააღმდეგ გალაშქრება „ნემსის პროლეტარები“-ს პროფესიონალურ კავშირის გამგეობისა, 2) ზოგიერთ „კომუნისტების“ და ტყვეების შესახებ. პირველზე მოხსენება გააკეთა ამხ. კოპალეიშვილმა. მომხსენებელმა დაუსურათა დამსწრე საზოგადოებას „ბალშევიკურ“ გამგეობის ანტლითობა. აგრეთვე იღაპარაკეს სხვა ამხანაგებმა, რის შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა გამგეობის მიერ მიღებული რეზოლიუცია მუშების და ცენტრის წინააღმდეგ ფრონტისთვის „პროლეტარულ დღის“ გამართვის შესახებ, ვუცხადებთ გამგეობას სასტიკ პროტესტს და ჩვენს გულის წყრომას. სრულებით დაგვწრწმუნა მათმა მოქმედებამ, რომ ეხლანდელ გამგეობის მოქმედება მიმართულია მხოლოდ დემოკრატიის ინტერესების წინააღმდეგ, რომელსაც შეაქვს მუშებში განხეთქილება და არევ დარევა“.

კომუნისტების ტყვეების შესახებ გიორგი ბაქრაძის მკრეხ მოხსენების და ამხანაგების ხსნა-განმარტების შემდეგ კრებამ ერთხმათ (ერთმა მისცა წინააღმდეგ) მიიღო: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საქართველოს შემორტყმულია გარეშე მტრებისაგან და დემოკრატია განიცდის უკიდურეს მდგომარეობას, ამავე დროს „კომუნისტების“ ავანტიურისტული გამოსვლა და მებრძოლ დემოკრატიისთვის უკანიდგან ხმლის ჩაცემა, არის მიუტევებელი დანაშაული, რისთვისაც ჩვენ დემოკრატიულ მთავრობის მიერ გადაგვმულ ყოველივე ნაბიჯებს ვიწონებთ და მოველოდებით უფრო მხნედ და გაბედულათ იმოქმედოს ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონერების და ავანტიურისტების ასალაგმავათ“.

აღსანიშნავია გიორგი ბაქრაძის მტკიცება, რომ ჩვენ არ გვითქვამს ფრონტი არ არსებობსო, და მანვე თავის წამოყენებულ რეზოლიუციაში გაიმეორა, არავითარი ფრონტი არ არსებობს, მხოლოდ „პაგრანიჩნი სტრაჟებიო“ სდგასო.

მდივანი რ. ხალუქვაძე.

— —

თფილისი. 17 აგვისტოს სულამოს შესდგა ავლაბრის ქალთა არტელის კრება, რომელსაც დაესწრო 400 უმუშევარი მკერავი ქალი ავლაბრის რაიონისა. კრების მიზანი იყო ქალთა არტელის დამტკიცება და მკერავ ქალთა პროფესიონალურ კავშირში წარმომადგენელის გაგზავნა. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ოლ. ბაქრაძე, მდივნად კ. ჭელიძე. კრებას დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი ელ. მახვილაძე, როგორც ოქტომბრის ხელმძღვანელი მკერავ ქალთა კავშირისა, კრებას დაესწრო ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის პრეზიდიუმი, რომლის მეთაური ბებთაც შეკავშირდა უმუშევარ მკერავ ქალთა არტელი. კრების გახსნისთანავე მოხსენება გააკეთა ოლ. ბაქრაძემ, სან აღნიშნა ის გამწვავებული მდგომარეობა, რომელმაც გამოიწვია ქალთა არტელის დაარსება. კრებამ დაადასტურა არტელის დაარსება, არტელის გამგეობის ფუნქციები და მკერავ ქალთა კავშირში წარმომადგენლებად აირჩია ოლ. ბაქრაძე და ლ. ხუციევი.

X.

ს.-დ. პარტიაში

ძ. სამტრედია. 15 აგვისტოს შესდგა სამტრედიის რაიონის ს.-დ. კომიტეტის საგანგებო სხდომა.

სხდომას დაესწრო დამფუძნებელ კრების წევრები ამხ. ი კობალეიშვილი და ვლ. ჯიბლაძე. თანამედროვე მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვლ. ჯიბლაძემ, მან გაარკვია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, როგორც შიგნით, ისე მის გარეთ.

ამის შემდეგ კითხვათ დაისვა გვარდიის შტაბის რეორგანიზაციის შესახებ. მოხსენება გააკეთა შტაბის თავმჯდომარემ ამხ. სერგო ნინუამ. მან მოახსენა კრებას, რომ 31 ივლისს შესდგა ოლქში არსებული შტაბების კონფერენცია, სადაც დაადგინეს: მოხდეს შტაბის რეორგანიზაცია და ამისათვის კრება გვარდიის მოწვეულ იქნას 31 აგვისტოს. სამტრედიის საოლქო გვარდ. შტაბი შესდგება სამტრედიის, ხონის და ვანის რაიონებისაგან. ყველაზე დიდ რიცხვს გვარდიელებისას გვაძლევს სამტრედიის რაიონი. საჭიროა სამტრედიიდან კუთვნილი რიცხვი კანდიდატებისა იქნეს დასახელებული. მასთან კომიტეტმა უნდა დაასახელოს ისეთი პირები, რომელნიც თავისუფალი იქნებიან სხვა მოვალეობისაგან.

კომიტეტმა დაადგინა საოლქო შტაბი შესდგეს 15 წევრისაგან. თავის მხრივ (სამტრედიიდან) კომიტეტმა დაასახელა 10 კანდიდატი: სერგო ნინუა, გიორგი ლორთქიფანიძე, კვერნაძე, სამსონ ნიკურაძე, იოსებ ფოფხაძე, სამსონ კოხრეიძე, ფილე ბერეკაშვილი, სერ. გოგუაძე და ევგენი გეგია.

— 15 აგვისტოს შესდგა ქალაქის კოლექტივის პირველი სხდომა. დამტკიცებულ იქნა წინა სხდომის ოქმი და კოლექტივის წევრთა მანდატები. მოსმენაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. ბ—მ. რაიონულ კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს მდივანი. მოხსენებით კოლექტივი კმაყოფილდება. ხანამ კითხვებს შეეძლებოდა, კოლექტივმა ბირწია ბიუროს წ პარისაგან: ქ ბაჩუა, გ. ჭეიშვილი, დ. ბუაძე, დაუთ მელქაძე და ზაირაბან დოლიძე. კოლექტივის თავმჯდომარეთ ბაჩუა ქალი ბაჩუა.

დ. ლ.

რკინის გზაზე

საშემოსავლო ნაწილში.

„ერთობის“ მე 169 ნომერში საშემოსავლო ნაწილის სექციის გამგეობა ცდილობს თავი გაიმთავისუფლოს იმ ბრალდებებიდან, რომლებიც ჩემს მიერ იყო წამოყენებული „ერთობის“ მე 166 ნომერში. პასუხი ხუსტი არის. თითქოს სექციის კანდიდატთა სია საშემოსავლო ნაწილში შეგმუშავებულ ყოფილ ყოფილ ნაბიჯებს ვიწონებთ და მოველოდებით უფრო მხნედ და გაბედულათ იმოქმედოს ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონერების და ავანტიურისტების ასალაგმავათ“.

აღსანიშნავია გიორგი ბაქრაძის მტკიცება, რომ ჩვენ არ გვითქვამს ფრონტი არ არსებობსო, და მანვე თავის წამოყენებულ რეზოლიუციაში გაიმეორა, არავითარი ფრონტი არ არსებობს, მხოლოდ „პაგრანიჩნი სტრაჟებიო“ სდგასო.

მდივანი რ. ხალუქვაძე.

— —

თფილისი. 17 აგვისტოს სულამოს შესდგა ავლაბრის ქალთა არტელის კრება, რომელსაც დაესწრო 400 უმუშევარი მკერავი ქალი ავლაბრის რაიონისა. კრების მიზანი იყო ქალთა არტელის დამტკიცება და მკერავ ქალთა პროფესიონალურ კავშირში წარმომადგენელის გაგზავნა. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ოლ. ბაქრაძე, მდივნად კ. ჭელიძე. კრებას დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი ელ. მახვილაძე, როგორც ოქტომბრის ხელმძღვანელი მკერავ ქალთა კავშირისა, კრებას დაესწრო ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის პრეზიდიუმი, რომლის მეთაური ბებთაც შეკავშირდა უმუშევარ მკერავ ქალთა არტელი. კრების გახსნისთანავე მოხსენება გააკეთა ოლ. ბაქრაძემ, სან აღნიშნა ის გამწვავებული მდგომარეობა, რომელმაც გამოიწვია ქალთა არტელის დაარსება. კრებამ დაადასტურა არტელის დაარსება, არტელის გამგეობის ფუნქციები და მკერავ ქალთა კავშირში წარმომადგენლებად აირჩია ოლ. ბაქრაძე და ლ. ხუციევი.

X.

ს.-დ. პარტიაში

ძ. სამტრედია. 15 აგვისტოს შესდგა სამტრედიის რაიონის ს.-დ. კომიტეტის საგანგებო სხდომა.

სხდომას დაესწრო დამფუძნებელ კრების წევრები ამხ. ი კობალეიშვილი და ვლ. ჯიბლაძე. თანამედროვე მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვლ. ჯიბლაძემ, მან გაარკვია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, როგორც შიგნით, ისე მის გარეთ.

ამის შემდეგ კითხვათ დაისვა გვარდიის შტაბის რეორგანიზაციის შესახებ. მოხსენება გააკეთა შტაბის თავმჯდომარემ ამხ. სერგო ნინუამ. მან მოახსენა კრებას, რომ 31 ივლისს შესდგა ოლქში არსებული შტაბების კონფერენცია, სადაც დაადგინეს: მოხდეს შტაბის რეორგანიზაცია და ამისათვის კრება გვარდიის მოწვეულ იქნას 31 აგვისტოს. სამტრედიის საოლქო გვარდ. შტაბი შესდგება სამტრედიის, ხონის და ვანის რაიონებისაგან. ყველაზე დიდ რიცხვს გვარდიელებისას გვაძლევს სამტრედიის რაიონი. საჭიროა სამტრედიიდან კუთვნილი რიცხვი კანდიდატებისა იქნეს დასახელებული. მასთან კომიტეტმა უნდა დაასახელოს ისეთი პირები, რომელნიც თავისუფალი იქნებიან სხვა მოვალეობისაგან.

კომიტეტმა დაადგინა საოლქო შტაბი შესდგეს 15 წევრისაგან. თავის მხრივ (სამტრედიიდან) კომიტეტმა დაასახელა 10 კანდიდატი: სერგო ნინუა, გიორგი ლორთქიფანიძე, კვერნაძე, სამსონ ნიკურაძე, იოსებ ფოფხაძე, სამსონ კოხრეიძე, ფილე ბერეკაშვილი, სერ. გოგუაძე და ევგენი გეგია.

— 15 აგვისტოს შესდგა ქალაქის კოლექტივის პირველი სხდომა. დამტკიცებულ იქნა წინა სხდომის ოქმი და კოლექტივის წევრთა მანდატები. მოხსენებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. ბ—მ. რაიონულ კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს მდივანი. მოხსენებით კოლექტივი კმაყოფილდება. ხანამ კითხვებს შეეძლებოდა, კოლექტივმა ბირწია ბიუროს წ პარისაგან: ქ ბაჩუა, გ. ჭეიშვილი, დ. ბუაძე, დაუთ მელქაძე და ზაირაბან დოლიძე. კოლექტივის თავმჯდომარეთ ბაჩუა ქალი ბაჩუა.

დ. ლ.

რკინის გზაზე

საშემოსავლო ნაწილში.

„ერთობის“ მე 169 ნომერში საშემოსავლო ნაწილის სექციის გამგეობა ცდილობს თავი გაიმთავისუფლოს იმ ბრალდებებიდან, რომლებიც ჩემს მიერ იყო წამოყენებული „ერთობის“ მე 166 ნომერში. პასუხი ხუსტი არის. თითქოს სექციის კანდიდატთა სია საშემოსავლო ნაწილში შეგმუშავებულ ყოფილ ყოფილ ნაბიჯებს ვიწონებთ და მოველოდებით უფრო მხნედ და გაბედულათ იმოქმედოს ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონერების და ავანტიურისტების ასალაგმავათ“.

აღსანიშნავია გიორგი ბაქრაძის მტკიცება, რომ ჩვენ არ გვითქვამს ფრონტი არ არსებობსო, და მანვე თავის წამოყენებულ რეზოლიუციაში გაიმეორა, არავითარი ფრონტი არ არსებობს, მხოლოდ „პაგრანიჩნი სტრაჟებიო“ სდგასო.

მდივანი რ. ხალუქვაძე.

— —

თფილისი. 17 აგვისტოს სულამოს შესდგა ავლაბრის ქალთა არტელის კრება, რომელსაც დაესწრო 400 უმუშევარი მკერავი ქალი ავლაბრის რაიონისა. კრების მიზანი იყო ქალთა არტელის დამტკიცება და მკერავ ქალთა პროფესიონალურ კავშირში წარმომადგენელის გაგზავნა. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ოლ. ბაქრაძე, მდივნად კ. ჭელიძე. კრებას დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი ელ. მახვილაძე, როგორც ოქტომბრის ხელმძღვანელი მკერავ ქალთა კავშირისა, კრებას დაესწრო ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის პრეზიდიუმი, რომლის მეთაური ბებთაც შეკავშირდა უმუშევარ მკერავ ქალთა არტელი. კრების გახსნისთანავე მოხსენება გააკეთა ოლ. ბაქრაძემ, სან აღნიშნა ის გამწვავებული მდგომარეობა, რომელმაც გამოიწვია ქალთა არტელის დაარსება. კრებამ დაადასტურა არტელის დაარსება, არტელის გამგეობის ფუნქციები და მკერავ ქალთა კავშირში წარმომადგენლებად აირჩია ოლ. ბაქრაძე და ლ. ხუციევი.

X.

პროვინცია

კოკორის გზატკეცილის შეკეთების შესახებ.

ამას წინათ ერთ-ერთ თფილისის გაზეთში იყო მოყვანილი ცნობა, რომ კოკორის გზატკეცილის შეკეთების დაგვიანების გამო, ეს გზა ჩამოერთვა თფილისის მაზრის ვრობას და გადაეცა შესაკეთებლად გზათა მიმსვლის ოლქს. ეს სიმართლეს არ შეეფერება. კოკორის გზატკეცილს და საერთოდ მთელი მახგლისის გზას განაგებდა და ღდებსაც განა-

გებს გზათა მიმოსვლის ოლქი, რომელიც ვალდებულია იზრუნოს ამ გზის შეკეთებაზე. და ამიტომ ჩამორთმევაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

გზათა სამინისტრომ სასურველათ სცნო აღნიშნული გზის შეკეთება მიეღო თავის თავზე ერობას, რაზედაც ერობის წარმომადგენლობამ თანხმობა გამოაცხადეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს გზა მთლიანათ გადმოსულიყო ერობის გამგებლობაში.

გზათა მიმოსვლის ოლქს აქამდე მანგლისის გზატკეცილი ერობისთვის არ გადმოუცია და ამიტომ ერობას არ შეეძლო იმ გზატკეცილის შეკეთება, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. ერობა ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას და ამით აცხადებს, რომ როგორც კი მას გადაეცემა მანგლისის გზატკეცილი, იგი მაშინვე შეუდგება მის შეკეთებას.

თფილისის მაზრის ერობის **ტეხნიკური განყოფილება.**

წვრილი ერთეულობის გარშემო.

თელავის მაზრაში დამთავრდა წვრილი ერთეულების არჩევნები. ამ ცოტა ხანში მოხდა უკანასკნელი არჩევნები ს. ყვარელში. ეს სოფელი ყველაზე დიდი სოფელია მაზრაში. აქ მოინტელიგენტე ხალხი კაი რიცხვია. უმეტესობა ფედერალისტებია. ამ ჯგუფს დიდი იმედი ჰქონდა არჩევნებისა და ცალკე სიით გამოვიდნენ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ გვსურდა შეთანხმებით გამოსულიყო, ერთი სიით. ისინი პრინციპიალურათ შეგვთანხმდენ საერთო სიით გამოსვლით. მაგრამ ისეთი ახირებული პირობა წამოგვიყენეს, რომ იმის მიღება ყოვლათ შეუძლებელი იყო: მაგალითად, პირველ კრებაზე ჩვენ გადავწყვიტეთ სამ რწმუნებულზე ერთი ფედერალისტებისთვის მიგვეცა, რაც შეადგენდა 25 რწმუნებულში 8-ს მიცემას. მათ წამოგვიყენეს თხუთმეტი თავიანთი და 10 ჩვენი უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, ასეთი დიდი განსხვავება სპობდა შეთანხმებას. ჩვენ გვარწმუნებდნენ, რომ ხალხმა გული აიცრუა—ს.-დემოკრატები და სამის მეტს ვერ გაიყვანთო. ასევე ამბობდნენ ჩვენებიც: ეგენი სამის მეტს ვერ გაიყვანენ და რად ვაძლევთ 8 ადგილსო. ეს არჩევნები მეტათ საინტერესო არჩევნები იყო. ხალხიც დიდათ დაინტერესებული იყო არჩევნებით. დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. არჩევნების შედეგმა აჩვენა ფედერალისტებს მათი ადგილი. მათ მიიღეს მხოლოდ ორნახევარი ადგილი.

სოსო.

სოფლის საჭიროება.

მე მინდა მივაქციო ქუთაისის სამაზრო ერობის ყურადღება იმ ცხრა საზოგადოებაზე: ვანი, დვალიშვილები, უხუთი, ამაღლება, ყორა და სხვები, რომლებიც მდებარეობენ რიონის მარცხენა ნაპირად და ამ წყალზე, ხიდის უქონლობის გამო საჯევაბოდან სად. რიონამდის დაშორებულნი არიან ქუთაისს. საზოგადოებაში კიდევ ძველ დროს იყო აღძრული შუამდგომლობა მდინარე რიონზე ხიდის გაკეთების შესახებ, მხოლოდ დაპირებას იქით აღარ წასულა. საჭიროა ხიდის გაკეთების საკითხი დაისვას რაც შეიძლება დაჩქარებით.

ერობამ უნდა აიღოს თავის თავზე ინიციატივა და საზოგადოებები აღმოუჩენს ყოველგვარ დახმარებას, როგორც მატერიალურათ, ისე თავის შრომით. ეს საკითხი იმდენათ მწვავეა, რომ მისი დაყოვნება შეუწყნარებელია. უვარგის ბორნებზე სოფლელთა მსხვერპლს უნდა მოეღოს ბოლო.

ერასტი დვალიშვილი.

თეატრი და მუსიკა

მუშათა კლუბში.

ენერგიულად მოქმედობს საპროფესიო კავშირთა საბჭო სახალხო უნივერსიტეტთან შეთანხმებით. ერთხელ კიდევ მტკიცდება დებულება, რომ ძალა ერთობაშია. თითქმის ყოველ საღამოს მუშათა კლუბის საზაფხულო შენობაში იმართება ვოკალური საღამოები და იდგმის მხატვრული წარმოდგენები ქართულ-რუსულ-სომხურ ენებზე. მშრომელი მასა ეტანება თავის კლუბს და შესაძლებლობის ფარგლებში კიდეც ღებულობს ესტეტიურ-სულიერ საზრდოს, მისი გონება და გრძნობაც ვითარდება, ნებისყოფა კაჟდება.

17 აგვისტოს ბავშვების დღესასწაული იყო. დადგმულ იქნა საბავშვო წარმოდგენა, სადაც მონაწილენი თვით ბავშვები იყვნენ. პიესა ცოცხლად ჩატარდა და მაყურებლებმაც ბევრი ისიამოვნეს. იყო აგრეთვე დეკლამაცია, ცეკვა, მუსიკა. „კონფერანსიემ" ამხ. ედელსონმა ბავშვები შემდეგ კვირისთვის დაიბარა, რასაც ისინი აღტაცებით შებვდნენ.

ამ დღესვე იყო „ინტიმიურ გრძნობათა მუსიკის საღამო". ცენოვსკი მცირე ხნით ესაუბრა საზოგადოებას ამ თემაზე, რის შემდეგ ქ.ქ. ვიშემირსკაიამ, იანსამ და ბ.ბ. ისკანდერმა, პოლიანოვმა და ნიკოლსკიმ რომანსები იმღერეს. ნიკოლსკი, რასაკვირველია, შეუდარებელი იყო.

19 აგვისტოს სახალხო უნივერსიტეტის დრამატიული წრის მიერ დადგმულ იქნა ცნობილ რევოლიუციონერის სტეპნიაკის (ავტორის შესანიშნავი წიგნისა „პოდპოლნაია როსსია") პიესა „ნოვოობრაშჩონნი", რომელიც ძველი რეჟიმის დროს აკრძალული იყო და ჯერ არც დადგმულიყო. პიესა გვიხატავს ხანას რევოლიუციონერების გმირულ ბრძოლისა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მისი მოკლე შინაარსი შემდეგია: მდიდარ კაცს მურინოვს (ბაიდაროვი) ჰყავს ერთად ერთი ქალი კატია (პეშკოვსკაია), რომელიც რევოლიუციურ მუშაობას თანაუგრძნობს. მურინოვს ქალს სთხოვს გრაფ მენტიროვის (როშჩინი), რომელიც მეფის მინისტრი ხდება, ნათესავი გუსარი ვოლკოვი (მიშინი) კატია ამას ეწინააღმდეგება და ამ ნიადაგზე უთანხმოება მშობლებსა და მის შორის. ბოლოს კატია სოციალისტის ნოროვის (ლიბსკი) მეოხებით მიდის მათთან და რევოლიუციურ მუშაობაში ჩაებმება; იგი იმალება და სხვის პასპორტით დადის, არა ლეგალურად სცხოვრობს. გადის ორი წელი წადი. მშობლებს საყვარელი ქალი მკვდარი ჰგონიათ და ჰგლოვობენ მას. შემოდის მოახლის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი და ეუბნება მათ, რომ ის მიიღონ მოახლეთ. ეს არის კატია, რომელსაც ვერა სცნობენ. მაშინ ის გამოუტყდება მათ და ეტყვის თავის თავგადასავალს, რომ იგი იძულებულია სხვის გვარით იაროს და მათთან დარჩება მხოლოდ როგორც მოახლე. მშობლების სიხარულს საზღვარი არა აქვს. გადის ხანი. გუსარი ვოლკოვი, (რომელსაც მუდამ ის ქალი ახსოვს) ეხლა ჯაშუში გამხდარა და უთვალთვალებს მურინოვის სახლს. იგი გაიგებს ყველაფერს და შევა მათ სახლში, რომ აისრულოს თავის საწადელი. ქალის მამა მას ჰკლავს და თითონ გარბის გამომძიებელთან. ქალის დედა (კოტოვა—ვასილიევა) ამას ვერ უძლებს და კვდება. კატიაც გარბის თავის საქმროსთან—ნოროვთან. ასამართლებენ მურინოვს. მას გაამართლებენ. ამ ხნის განმავლობაში მასში „თვითმპყრობელობის ამ ბურჯში" ხდება სწრაფი გადატეხა. მისი შეხედულებები იცვლება. იგი „გადარჯულდა.", იგი მიდის თავის ქალთან ერთად რევოლიუციურ მუშაობისათვის.

პიესა 4 მოქმედებიანია. კარგი ენით არის დაწერილი. ტეხნიკურადაც საკმაო ხელოვნებით არის შესრულებული, განსაკუთრებით პირველი მოქმედება. პიესაში მრავალი დრამატიული მომენტებია, რაც, რასაკვირველია, საკმაო სიძლიერით ვერ იქმნა გადმოცემული შემსრულებლების მიერ. უტყუარი ნიჭი გამოიჩინეს ახალგაზრდა სცენის მოყვარეებმა —პეროვსკაიამ, ლიბსკიმ, მიშინმა, ედელსონმა. ბაიდაროვსა და კოტოვაში ნამდვილ არტისტებს ნახავდით. როშჩინმაც თავის პატარა როლი საუცხოოდ ჩაატარა. დადგმას ეტყობოდა რეჟისორ რადოლინის გამოცდილი ხელი. აღსანიშნავია ერთსულოვანი ანსამბლი. მიუხედავად შესრულების ზოგიერთ დეფექტებისა, წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა,

20 აგვისტოს კლუბში გაიმართა „ბალეტისა და საბალეტო მუსიკის საღამო".

კლუბში უკრავს სახალხო კონსერვატორიის სიმებიანი ორკესტრი. იქვეა სამკითხველო სანდრო მაისურაძის სახელობაზე, სადაც ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების კითხვით იკმაყოფილებენ წევრები და გარეშე საზოგადოება თავის სულიერ მოთხოვნილებას. ვუსურვებთ პროლეტკულტს სრულ წარმატებას თავის დიად საქმეში.

X.

განცხადებანი

სამტრედიის რაიონის მ. და გლ. დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე კიმოთე შენგელია აცხადებს, რომ მას ამ დღეებში დაეკარგა ამავე დეპუტატთა საბჭოს ბეჭედი. მნახველს სთხოვს გამოუგზავნოს სამტრედიაში სახალხო გვარდიის შტაბში, ან კულაშში—ერობის გამგეობაში.

ექიმი **ს. შ. მგალობლიშვილი**
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდუბის
კერძო სამკურნალო
ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე, (24—18)

ბორჯომში
პროფ. დოქტ. მედიცინისა **ვ. ვ. ვოსეშვილი** იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები" (Минеральныя воды).

ექიმი **ს. პ. ზაზრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები („შემხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **ნ. ლ. ტუტიაშვილი**
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დაბარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სომხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი **პ. დ. ქუქელია**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ № 116.
ტელ. 14—28.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე ჭანტურიაძე**
იღებს სპეციალურად—მ ა ლ არიით (ციებ. და მისი შედეგებით ორსენელებით) ბრონხიტის ნაკლებობით, გულის, ფილტვების ქრონებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოთი 5—6 საათამდე. კონსულტაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **ვ. ე. მშვრალიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა Xს. სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92

საექიმო კაბინეტი
ექიმ **ქ. თ. ტუმანელაშვილის**
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგაიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი **ნ. ნ. შიშლო-სავაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ჭირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი **დ. ნ. ზაბარიძე**
ღეებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

თფ. ქალთა წმ. ნინოს სახელობის მე-7 გიმნაზიაში

(გაერთიანებულ ქალთა მე 7-დე და წმ. ნინოს გიმნაზიები) მისაღები და ხელმეორედ გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 8-დან: სწავლა ენკენისთვის 15-დან. თხოვნების მიღება სწარმოებს ყოველ დღე (გარდა კვირა უქმეებისა) დილის 10—2 საათამდის. მისამართი: ერმოლოვის ქუჩა № 13 ყოფილი წმ. ნინოს გიმნაზიის შენობა.

სევის (გურია) უმაღლ. დაწყებით სასწავლებლის
პედაგოგიური საბჭო იწვევს სასწავლებლის
გამგეს და სამ მასწავლებელს სახოგადო საგნებისას.
მსურველთ განცხადება კურიკულუმ ვიტეთი უნდა გამოგზავნონ 1 ენკენისთვემდის შემდეგი მისამართით: ჩოხატაური-ხევი, უმაღ. დაწყ. სასწ. საბჭო. (2—1)

ნოტარიუსი ა. ი. კარაკაში

აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ მისი კანტორა მოთავსებულია ახალ ბინაზე, ველიამინოვის ქუჩა, № 2 (ერევნის მოედანი). ტელეფონი № 16-36. კანტორა ღიაა 9—3 საათ. პირადი ბინა: ლერმონტოვის ქ. № 23. ტელ. № 51.

ვაჭრობა-მრეწვ. სამ. უწყ. მყოფი
საგუჰალტრო კურსები
ნ. ვ. აგრამიანისა (არსებობს 1898 წ.)
4 თვიანი კურსი. მიღება ყოველ დღე. მეცადინეობა იწყება 20 სექტემბრიდან.
ნიკოლოზის ქ. № 22. (3—1)

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება

18 აგვისტოდან დაკლებულ ფასებში ჭყიდის თფილისის საბაღოსნო სასწავლებელში მოწეულ ბოსტნეულობას: **პამიდორს, კომბოსტოს, ჭარხალს** და სხვადასხვა მწვანილს. ყიდვა შეიძლება საზოგადოების შენობაში ბარიატინსკის ქ. № 5, დილის 7 ნახ. საათ. დღის 2 ნახევარ საათამდე. (2—2)

საქართ. რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებელი აცხადებს:

პირველ ენკენისთვიდან ქალ. თფილისში იხსნება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებელი განყოფილებებით: ქვეითა ჯარისა, საარტილერიო, ცხენოსან ჯარისა და საინჟინერო. (სწავლის კურსი 2 წლ.) სასწავლებელში მიღებულ იქნებიან ახალგაზრდანი (საქართველოს ქვეშევრდომები) წლოვანობით 17—25 წლ.

შენიშვნა: კოლიანები სასწავლებელში არ მიიღებიან. მსურველთ თხოვნა სამხედრო სასწავლებლის უფროსის სახელზე უნდა შემოიტანონ და დაურთონ შემდეგი დოკუმენტები: 1) მოწმობა ჯარისკაცთა გამწვევ უბანზე მიწერის შესახებ. 2) ატტესტატი საშუალო სასწავლებლის კურსის დამთავრებისა: შეიძლება აგრეთვე ატტესტატი და მოწმობა ისეთი სასწავლებლებისა, რომელთაც საშუალო სასწავლებლის უფლებები აქვთ მინიჭებული. 3) მოწმობა სამართალში არ ყოფნის შესახებ. 4) მეტრიკული მოწმობა (შეიძლება მეტრ. ამონაწერი, მიცემული მღვდლისაგან. 5) ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. 6) მოწმობა ქვეშევრდომობისა (ასეთი მოწმობა უნდა წარმოადგინონ არა ქართველებმა).

მედიცინური გასინჯვა სასწავლებელში შემომსვლელთა დანიშნულია 28 და 29 მარიამობისთვეს ა.|ვ. ამ ხნის განმავლობაში ვინც შემოიტანს დოკუმენტებს, უნდა გამოცხადდეს სასწავლებელში 28 მარიამობისთვის დილის 9 ს.

საბოლოო კითხვა იმ ახალგაზრდების სასწავლებელში მიღებისას, რომელთაც შემოიტანეს დოკუმენტები, გამოირკვევა პირველ ენკენისთვეს. ესეიგი მედიცინური გასინჯვის შემდეგ.

სწავლა ქართულ ენაზე. ქართული ენის ცოდნა აუცილებელია. სასწავლებელში მიიღებიან აგრეთვე ოსებიც. შენახვა იუნკრებისა სახაზინოა.

თფ. პედაგოგიური ინსტიტუტი

(ყოფილი საოსტ. ინსტიტუტი), არსებული თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ამ თ აცხადებს შემდეგს:

1) ინსტიტუტი შესდგება ორი საფეხურისაგან. 2) თითოეული საფეხურის კურსი ორ წლიანია. 3) პირველი საფეხური ამზადებს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელს. 4) მეორე საფეხური ამზადებს საშუალო სკოლის მასწავლებელს. 5) პირველ საფეხურზე მიიღებიან ყველანი, ვისაც მთავრობის ვაჟთა ან ქალთა საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული, აგრეთვე საოსტატო სემინარია, ან და ვინც პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ გამომცდელ კომისიაში ჩააბარებს გამოცდებს (პროგრამები ინახება ინსტიტუტში). 6) მეორე საფეხურზე მიიღებიან ან ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი, ან თფილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც ინსტიტუტის პირველი საფეხური აქვთ გავლილი.

თხოვნები მიიღება თფილისში (პედაგოგ. ინსტიტ., დიდი მთავრის ქ. № 91) დირექტორის ბინა. (7—4)

დოქტორი **ვ. ვიტლდშტეინი**
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ქენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

მსწრაფლშემდგმელი სტამბა რეზაძისა, გამგეის წესახედი № 1.